

შპს „ჯიტი ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის საკითხები	12
4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან.....	12
5. საქონლის თვითღირებულება	12
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13
7. ფინანსური ხარჯი	13
8. ფული და ფულის ექვივალენტები.....	13
9. სავაჭრო მოთხოვნები	14
10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	14
11. სხვა მიმდინარე აქტივები	14
12. ძირითადი საშუალებები.....	15
13. სავაჭრო ვალდებულებები.....	17
14. აღებული სესხები	17
15. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	17
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

შპს „შპს ჯიტი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

**მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	6,055,947	3,478,586
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	5	-4,298,860	-2,810,004
საერთო მოგება		1,757,087	668,582
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	-638,811	-409,044
წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	7	-30,200	-33,532
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან		-269,842	-340,066
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		662	-66,313
სულ საოპერაციო ხარჯები		-938,191	-848,955
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		818,896	-180,373
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
წმინდა მოგება/(ზარალი)		818,896	-180,373
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		818,896	-180,373

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	1,196,134	30,231
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,589,183	982,682
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10	2,804,409	1,143,981
გადახდილი ავანსები		1,563,384	180,144
სხვა მიმდინარე აქტივები	11	537,634	38,866
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,690,744	2,375,904
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	3,784,103	829,380
ინვესტიციები შვილობილ საწარმოში		2,353	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,786,456	829,380
სულ აქტივები		11,477,200	3,205,284
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	13	2,793,916	1,815,099
საგადასახადო ვალდებულება		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	14	-	-
სულ ვალდებულებები		2,793,916	1,815,099
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	14	7,366,058	1,574,207
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,366,058	1,574,207
სულ ვალდებულებები		10,159,974	3,389,306
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		683,430	1,078
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		633,796	-185,100
სულ კაპიტალი		1,317,226	-184,022
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,477,200	3,205,284

დირექტორი

შპს „შპს ჯიტი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-	- 4,727	- 4,727
წმინდა მოგება / (ზარალი)		-	- 180,373	- 180,373
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	- 180,373	- 180,373
მფლობელთა კაპიტალში შენატანი		1,078	-	1,078
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		1,078	- 185,100	-184,022
წმინდა მოგება / (ზარალი)		-	818,896	818,896
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	818,896	818,896
მფლობელთა კაპიტალში შენატანი		682,352	-	682,352
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		683,430	633,796	1,317,226

დირექტორი

შპს „ჯიტი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/(ზარალი):		818,896	-180,373
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	12	72,416	35,646
ფინანსური ხარჯი		54,413	33,532
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		-2,488,509	-919,928
სხვა დანახარჯები		-1,660,428	-158,454
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		924,404	474,407
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		-2,278,808	-715,170
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	12	-3,029,492	-829,943
შემოსავალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		-	-
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		-3,029,492	-829,943
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების აღება	14	6,062,109	1,661,999
სესხების დაფარვა		-270,258	-87,792
მფლობელთა შენატანი		682,352	1,078
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		6,474,203	1,575,285
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	8	30,231	59
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		1,165,903	30,172
31 დეკემბრის მდგომარეობით	8	1,196,134	30,231

დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯიტი ჯგუფი“ (შემდგომში – „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 404518777, დაფუძნდა 2016 წლის 19 აგვისტოს, იურიდიულ მისამართზე – თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ. მარჯანიშვილის ქ. №2, ბინა 23, კომპანიის ფაქტობრივი მისამართია: თბილისი, ქსნის ქ. 36.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა რკინა-კაველით, წყალგაყვანილობისა და გასათბობი მოწყობილობით, ასევე სხვა ინვენტარით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია მიხეილ ქართველიშვილი, პ.ნ 17001000880.

კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრს დასაქმებული ჰყავდა, საშუალოდ 18 თანამშრომელი (2019: 24).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად (გადახედილი 2015 წელს). აღნიშნული ანგარიშგება ამ თარიღის მდგომარეობით 2018 წელი 31 დეკემბერი, პირველად მომზადდა „მსს ფასს“ სტანდარტების შესაბამისად. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლამდე, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარებოდა საქართველოს საგადასახადო კანონდებლობას, კანონდებლობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტა – ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ადირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სააღრიცხო პოლიტიკა

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

(ა) შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობა	80
საოფისე აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ საბუღალტრო პროგრამის უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღ- იარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონ- ლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თა-ნხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკნელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%

(ბ) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური განაკვეთით დისკონტირებით.

(გ) სესხის ხარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის საკითხები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა, გაცემული სესხების ანარიცხების განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

შემოსავლები	2020 წელი ლარი	2019 წელი ლარი
რეალიზაცია	6,181,414	3,559,592
ფასდათმობა	-125,467	-81,006
სულ შემოსავალი	6,055,947	3,478,586

5. საქონლის თვითღირებულება

საქონლის თვითღირებულებაში შეყვანილია საქონლის თვითღირებულება, ზედნადები და მიწოდების სხვა ხარჯები.

თვითღირებულება	2020 წელი ლარი	2019 წელი ლარი
გაყიდული საქონელი	4,294,281	2,808,609
საგარანტიო ხარჯი	2,395	0
სარეკლამო ხარჯები	2,184	847
კომერციული ხარჯი	0	415
მიწოდების სხვა ხარჯები	0	133
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4,298,860	2,810,004

შპს „ჯიტი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

ხარჯის დასახელება	2020 წელი ლარი	2019 წელი ლარი
შრომის ანაზღაურება	373,443	160,753
ცვეთა და ამორტიზაცია	72,416	35,646
საიჯარო ქირა	37,729	40,246
საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯი	2,967	1,255
კომუნიკაციის ხარჯი	5,286	2,374
საწვავის ხარჯი'	48,399	46,453
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	19,105	71,260
სამეურნეო ხარჯი	26,755	19,181
კომუნალური ხარჯი	420	1,019
ბანკის მომსახურება	25,699	12,783
საგადასახადო ხარჯი	23,275	4,296
მივლინების ხარჯი	2,105	11,187
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,212	2,591
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	638,811	409,044

7. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შედგება ბანკის ფიქსირებულგანაკვეთიან სესხებზე დარიცხული პროცენტისგან.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

დასახელება	ლარი 31.12.2020	ლარი 31.12.2019
ეროვნული ვალუტა საბანკო		
ანგარიშებზე	162	30,184
უცხოური ვალუტა საბანკო		
ანგარიშებზე	1,195,972	47
სულ	1,196,134	30,231

შპს „ჯიტი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოიქმნება ადგილობრივ ბაზარზე საქონლის რეალიზაციიდან.

10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2020	31.12.2019
საქონელი	2,769,418	1,142,895
ნედლეული და მასალები	15,507	1,086
სხვა	19,484	0
სულ	2,804,409	1,143,981

11. სხვა მიმდინარე აქტივები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა მიმდინარე აქტივები შედგება საგადასახადი აქტივისგან

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა და შენობა	საოფისე აღჭურვილობა	ავიჯისა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ:
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	-	-	-	35,083	35,083
შეძენა	806,418	5,122	-	18,403	829,943
ჩამოწერა (რეკლასი)	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	806,418	5,122	-	53,486	865,026
შეძენა	2,936,020	11,745	2,101	77,042	3,026,908
ჩამოწერა (რეკლასი)	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,742,438	16,867	2,101	130,528	3,891,934

ცვეთა და გაუფასურება

ღირებულება	დაუმთავრებელი მშენებლობა	ნაგებობა	საოფისე აღჭურვილობა	ავიჯისა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	-	-	-	-	-
ჩამოწერა (კორექტირება)	-	-	-	-	-
ცვეთა წლის მანძილზე	28,269	239	-	7,138	35,646
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	28,269	239	-	7,138	35,646
ჩამოწერა (კორექტირება)	-	-	-	-	-

შპს „ჯიტი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ცვეთა წლის მანძილზე	56,643	2,285	113	13,144	72,185
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	84,912	2,524	113	20,282	107,831

წმინდა საბალანსო ღირებულება	მიწა და შენობა	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯისა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ:
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	-	-	-	35,083	35,083
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	778,149	4,883	-	46,348	829,380
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,657,526	14,343	1,988	110,246	3,784,103

შპს „ჯიტი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

13. სავაჭრო ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ადგილობრივი მოწოდებლები	2,793,916	1,815,099
სულ სავაჭრო დავალიანებები	2,793,916	1,815,099

14. აღებული სესხები

კომპანიას 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული აქვს ფიქსირებულპროცენტითანი გრძელვადიანი სესხები სს თიბის ბანკისგან და სს ხალიკ ბანკისგან:

მიღებული სესხის	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საკონტრაქტო თანხა ნომინალში	ვალუტა	% განაკვეთი	ვალუტაში 31.12.2020	ვალუტაში 31.12.2019
სს თიბისი ბანკი	31-05-19	05-09-29	360,000	ევრო	5.50%	324,199	345,356
სს თიბისი ბანკი	31-07-19	05-08-20	70,000	აშშ დოლარი	7.00%	0	63,055
სს ხალიკ ბანკი	23-12-20	23-12-30	1,850,000	აშშ დოლარი	8.00%	1,850,000	0

15. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიაში საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 სექტემბერს.